საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
აზიის განვითარების ბანკი (ADB)

სესხი N 2655 - GEO: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა

ინტერესის გამოხატვის მოთხოვნა
ინდივიდუალური განსახლების სპეციალისტის შერჩევა თბილისი-რუსთავის ურბანული პროექტისთვის

No: SUTIP-IC-15-2015

პროექტი დაფინანსებულია საქართველოს მთავრობისა (GoG) და აზიის ბანკის მიერ (ADB). საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი (ფონდი) წარმოადგენს პროექტის განმახორციელებელ ორგანიზაციას. პროექტი ითვალისწინებს თბილისი-წითელი ხიდის (აზერბაიჯანის საზღვარი) თბილისი-რუსთავის მონაკვეთის მოდერნიზაციას. ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი აცხადებს ინტერესის გამოხატვას განსახლების კონსულტანტის შესარჩევად თბილისი-რუსთავის ურბანული პროექტისთვის.

ადგილობრივი განსახლების სპეციალისტის მიზანია მგფ-ის წესდების შესაბამისად მოქმედება და მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის (LARP) მომზადებისა და განხორციელების პროცესში შესაბამისი მითითებების შესრულება, სამშენებლო პროცესის მიმდინარეობის პერიოდში ადგილობრივ დონეზე დავის მოგვარების მექანიზმის შემუშავება/მენეჯმენტი/მონიტორინგი. ადგილობრივი განსახლების სპეციალისტი პასუხისმგებელი იქნება მგფ-ის განსახლების ჯგუფზე, რომელიც იმუშავებს LARP-ზე. ადგილობრივი განსახლების სპეციალისტის მოვალეობები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ქვემოთ ჩამოთვლილი ვალდებულებებით:

LARP-ის მომზადების, განხორციელებისა და მშენებლობის ეტაპებზე განსახლების სპეციალისტი შეასრულებს შემდეგ დავალებებს,

1. მე-2 სექციის LARP 3 B და მე-3 სექციის მეორადი გზების LARP-ის განხილვა;
2. მე-2 სექციის LARP 3 A და B და მე-3 სექციის მეორადი გზების LARP-ის დასრულება;
3. საჯარო რეესტრში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების მიერ განხორციელებული სარეგისტრაციო პროცედურების მუდმივი მონიტორინგი ზემოთხსენებული პროცედურების დაჩქარების მიზნით;
4. საჭიროების შემთხვევაში პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირებისთვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა საჯარო რეესტრის ან სხვა საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც აისახება LARP-ში (LARP-თან დაკავშირებული საქმიანობის შესახებ მიმდინარე ინფორმაციით უზრუნველყოფა);
5. მშენებლობის ეტაპზე საველე მონიტორინგის განხორციელება შესაძლო დარღვევების დაფიქსირების მიზნით;
6. მგფ-სთვის სარეგისტრაციო შედეგებისა და მომზადებული დოკუმენტების დროული წარდგენა შემდგომი პროცედურებისთვის;
7. პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცულ პირებთან მოლაპარაკებებში მონაწილეობა;
8. ექსპროპრიაციის საკითხებთან დაკავშირებით მგფ-სათვის კონსულტაციის გაწევა;
9. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების ინფორმირება და კონსულტაცია ექსპროპრიაციის პროცესსა და შედეგებთან დაკავშირებით;
10. მგფ-სა და პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცულ პირებს შორის შეხვედრების ორგანიზება, რათა თავიდან იქნას აცილებული ექსპროპრიაცია;
11. ექსპროპრიაციის პროცესის მონიტორინგის უზრუნველყოფა;
12. ადგილობრივ დონეზე დავის მოგვარების მექანიზმის განვითარება/მართვა/მონიტორინგი;
13. დავის მოგვარების ადგილობრივ კომიტეტთან ერთად მიღებული საჩივრების განხილვა და იმ შემთხვევაში თუ ვერ ხერხდება უკმაყოფილო პროექტის ზემოქმედების ქვეშ

მოქცეული პირების დაკმაყოფილება, მგფ-ის ინფორმირება LARP-ში დადგენილი ვადების შესაბამისად;

14. საარსებო წყაროს აღდგენის დეტალური გეგმის შემუშავება ბიზნესში ჩართული პირებისთვის;
15. მე-2 სექციის LARP 3 A და B და მე-3 სექციის მეორადი გზების LARP-ის გარე მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშის განხილვა;
16. ადგილობრივი განსახლების სპეციალისტი რეგულარულად უნდა იმყოფებოდეს ობიექტზე განთავსებულ სპეციალურ ოფისში.

სამუშაოს სავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე. სამუშაო გრაფიკი-სრული განაკვეთი.

უნარ-ჩვევები და კვალიფიკაცია:

- ხარისხი სამართალში, სოციალურ მეცნიერებაში და/ან მშენებლობის სფეროში;
- საჯარო რეესტრში მიწის ნაკვეთის რეგისტრაციასთან, საკადასტრო და აზომვით სამუშაოებთან დაკავშირებული გამოცდილება;
- არანაკლებ 10 წლიანი ზოგადი პროფესიული გამოცდილება (არანაკლებ 5 წლიანი სამუშაო გამოცდილება განსახლების სფეროში);
- პრიორიტეტად ჩაითვლება ინგლისური ენის ცოდნა;
- ქართული და რუსული ენების კარგი ცოდნა ადგილობრივ მცხოვრებლებთან მოლაპარაკებისა და კომუნიკაციის მიზნით;
- კომპიუტერის ცოდნა: სტანდარტული და სპეციალური კომპიუტერული პროგრამების ცოდნა Microsoft Office, GIS, AutoCAD-ის ჩათვლით.

დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია შესყიდვების სამსახურში შემდეგ მისამართზე: № 150 დ.აღმაშენებლის გამზირი, თბილისი, საქართველო, 10:00 დან 18:00 სთ-მდე. ტელეფონის ნომერი: (+99532) 243 70 01/02/03/04, შიდა ნომერი 409, ქ-ნი ნატა პეიტრიშვილი, შესყიდვების სპეციალიტი.

დაინტერესებულმა პირებმა მონაცემები უნდა გამოაგზავნონ აზიის განვითარების ბანკის CMS სისტემის საშუალებით არაუგვიანეს **2015 წლის 20 მარტისა:**

https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/OA.jsp?OAFunc=XXCRS_CSRN_HOME_PAGE

აზიის განვითარების ბანკის სისტემაში რეგისტრაციისათვის იხელმძღვანელეთ ქვემოთ მოცემულ ლინკზე მითითებული ინსტრუქციებით:
https://uxdmz06.adb.org/OA_HTML/adb/adbpos/jsp/ADBCMSLogin.jsp